პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 124 (20465) — სამშაბათი, 30 მაისი, 1989 წელი. — ფასი 4 კაპ.

დეპუტატები საქართველოს სსრ რესპუბლიკისაგან კრემლის ტერიტორიაზე.
საკავშირო-საინფორმაციო ტელეფოტო.

# სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

**27 მაისს** საღამოს სხდომა გაიხსნა დეპუტატ **ა. ი. ლუკიანოვის** ცნობით იმის შესახებ, რომ ეროვნებათა საბჭოში მთელი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლობის საკითხი, რომელიც ყრილობამ დაავალა პრეზიდიუმს და დელეგაციას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისაგან, რთული აღმოჩნდა და საჭიროა დამატებითი კონსულტაციები.

ყრილობა ცნობად იღებს დეპუტატის ინფორმაციას.

შემდეგ გაგრძელდა დისკუსია, რომელიც დაიწყო ძილის სხდომაზე.

გაიზიარა რა ი. ნ. აფანასიევის ბევრი შენიშვენები, დეპუტატი **ო. ო. სულეიმანოვი** არ დაეთანხმა ახლახან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მისეული შეფასებას, „სტალინ-ბრეჟნევის უმაღლესი საბჭოს“ ფორმულირებას. ძალზე ძლიერი სიტყვებია, თქვა ვახსმა მწერალმა. ამ სიტყვებს შეუძლია აღგაზოოს ნებისმიერი ადამიანი, ამოძრაოს ბრბო, ხალხი, მაგრამ სამართლიანი თუა ეს სიტყვები?

ფრაქციულობისაკენ მოწოდებანი, თუნდაც კი აბიცოსტების ყრილობის მუშაობას, დემოკრატიზაციის პროცესს, რომელიც ძალას იკრებს, ორატორის აზრით მაინც ვერ გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრას ელის ჩვენგან ხალხი. ამ სიტყვებს შეუძლიათ მხოლოდ გათიშონ ყრილობა. ორატორმა ხატოვნად შენიშნა, რომ ყრილობაზე „მარცხენა ფრთა“ უფრო ხშირად უსვამს ნიჩაბს, ვიდრე მარჯვენა ფრთა, იგი უკეთ არის ორგანიზებული. მაგრამ ის ნავი, რომელსაც მიაცურებენ ეს ნიჩბები, მკვეთრად გაუხვევს მარჯვნივ თუ მეტისმეტად ძლიერად მოუსვამს მარცხენა ნიჩაბს.

ახლა ჩვენი ამოცანაა, თქვა ორატორმა, — შევინარჩუნოთ ქვეყანაში გაჩაღებული პროცესი, დიალოგი, გავახანგრძლივოთ იგი, არ შევწყვიტოთ და ამით ხელი შევუწყოთ დემოკრატიის განვითარებას. ახლა არ უნდა გამოვიწვიოთ ის ძალები, რომლებიც, როგორც მან თქვა, გამზადებული არიან და რომლებსაც „ამკარად აღიზიანებთ ატმოსფერო, რომელიც ყრილობაზე სუფევს. უშუალოდ ხალხისადმი დაბეჯითებით მოწოდებებს, აპელაციებს, დემონსტრაციებზე გასვლის მოწოდებებს, მიაჩნია დეპუტატს, შეუძლიათ მხოლოდ ვითარების დესტაბილიზაცია, რაც მხოლოდ ხელს შეუშლის ყრილობის მუშაობას და საერთოდ მთელ გარდაქმნას.

ი. ნ. აფანასიევისა და გ. ხ. პოპოვის გამოსვლებმა მიგვაჩნია არჩევნების საკითხებისაკენ. მათ სიტყვებში ბევრი რამ არის რაციონალური, და მხოლოდ ჭირვეული ადამიანი არ მოისურვებს ამის დანაბეჭდვა, თქვა დეპუტატმა **ე. ვ. იაკოვლევმა.** ვფიქრობ, განაცხადა ორატორმა, არ უნდა შეგვაშინოს და რაღაცნაირად გაგვიბოროტოს მათმა გამონათქვამებმა. ჩვენი დარბაზის მდგომარეობა ზუსტად ასახავს საზოგადოების მდგომარეობას. ეს საერთოდ სწორიცაა. მაგრამ ახლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ დავაღწიოთ თავი ამ სიტუაციას, და უწინარეს ყოვლისა, გამოვასწოროთ ყრილობის უხეიროდ ორგანიზებული მუშაობა.

შემდეგ დეპუტატი შეეხო მოსალოდნელი ფრაქციების საკითხს. რა თქმა უნდა, აღნიშნა მან, ფრაქცია ჩვენთვის უჩვეულო, თითქმის რომანტიკული რამ არის. მაგრამ ჯერ კიდევ არ ამოწურულა კონსოლიდაციის შესაძლებლობანი და მას უნდა ვესწრაფოდეთ. ორატორმა გამოთქვა უკმაყოფილება არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის გამო და დასვა კითხვა: დეპუტატებიდან ვინ იმუშავებს უმაღლეს საბჭოში მუდმივად, და ვინ — „როგორც წესია“?

ვეტერანების პრობლემას მიაპყრო დამსწრეთა ყურადღება თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ვ. ხ. ობრასმა.** ბევრს იმთგან, ვინც განიცადა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის სიძნელეები, რეპრესიები, ომისა და დანგრეული მეურნეობის აღდგენის სიმძიმე, დაუყოვნებლივ უნდა გაუმჯობესდეთ ხვედრი, განაცხადა მან. ორატორის აზრით, პროცედურული საკითხების გაჭიანურება, „კრიტიკის სალერწყლეო“, მიტინგებისადგის მოწოდება მხოლოდ აყოვნებს იმ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას, რომელთა ყრილობაზე დასმა დაავალა ხალხმა დეპუტატებს.

შეაფასა რა ქვეყნის სიტუაცია, დეპუტატმა თქვა, რომ არ იცის, მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, როდის იყო ესოდენ საჭირო საზოგადოების მთელი ძალების კონსოლიდაცია, მან გამოთქვა რწმენა, რომ მთავარი საკითხების გადაწყვეტისათვის უნდა შეველოთო „ეროვნულ, სარწმუნოებრივ, ჯგუფურ, და თუ გნებავთ კლასობრივ ამბიციებსაც კი“. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, მისი აზრით, ის არის, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხმა იშრომოს სიყვარულით, როგორ ავიყვანოთ აღზრდა სათანადო დონეზე? დეპუტატის აზრით, ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად ჯერ არავის მოუკიდია ხელი სერიოზულად აღზრდის პრობლემებისათვის. უნდა შეიქმნას აღზრდის ჩვენეული კონცეფცია, ჩავბმათ ამ მნიშვნელოვან საქმეში მეცნიერები და სპეციალისტები, ბოლო მოვუღოთ ბოლს და ბოლს რუსულ „ეგების“. დ. დროა მიტინგებიდან გადავიდეთ კონკრეტულ, დიდ მუშაობაზე.

დარბაზის ვითარება ასახავს იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ჩვენს საზოგადოებაში და ჩვენს ქვეყანაში, მიაჩნია დეპუტატს ყაზახეთისაგან **ნ. ს. პეტრუშენკოს.** მინდა, თქვა მან, ვთხოვო დეპუტატებს, უწინარეს ყოვლისა შეიგნონ, რამდენად რთულია ასეთი ქვეყნის მართვა და რამდენად რთულია ისეთი ინასტანციური ყრილობის მართვა, რომელიც შეაყრობილია დემოკრატიის საყმაწვილო სენით.

ორატორმა აღნიშნა, რომ ყრილობის ატმოსფერო საკმაოდ დაიძაბა მთელი რიგი დეპუტატებიის მიხმწრაფებით, აუცილებლად აღმოჩნდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. ორატორის აზრით წარმოქმნილი კონფრონტაცია იმის შედეგია, რომ ყრილობის დარბაზში დემოკრატიზაციის პროცესები ბევრად ჩამორჩება შეფასდებით თითოეული რესპუბლიკის დემოკრატიზაციის პროცესებს.

მე როგორც კომუნისტი და როგორც დეპუტატი, თქვა შემდეგ ორატორმა, დაძაბული ვარ იმის გამო, რომ წინასაარჩევნო მიტინგებზე, პოლიტიკურ სადისკუსიო კლუბებში ნებისი თუ უნებლიედ მიმდინარეობს „პორტფელების“ განაწილება. მინდა შევახსენო მოსკოველ დეპუტატებს, რომლებსაც უადრესად დიდ პატივს ვცემ ყრილობისათვის მომზადების დროს ინიციატივისათვის, რომ მაინც მოგვანიშნონ „პორტფელების“ განაწილების უფლებამოსილება ჩვენ, დეპუტატებს. თანაც ეს პორტფელები განაწილდეს ამ დარბაზში და არა ლუჟნიკებში მოწყობილ მიტინგებზე.

ამ ტრიბუნიდან დღეს სულ უფრო ხშირად ისმის სიტყვები მოსკოველებზე, მოსკოვის ფილეგაციაზე, თქვა თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ლ. პ. კრავჩენკომ.** მაგრამ უნდა დაგარწმუნოთო, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, რაღაც მოსკოვის ფრაქცია არ არსებობს, და დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ შეიქმნება.

გამოთქვა რა თავისი დამოკიდებულება დეპუტატების ალექსიევის, პოპოვისა და ადამოვიჩის გამოსვლებისადმი, დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი იცნობს იმ დეპუტატებს, როგორც დემოკრატიის თანამიმდევრულ მომხრეებს. მაგრამ დემოკრატია, თქვა მან, გულისხმობს შემწყნარებლობას სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი. მაგრამ ამ დეპუტატებმა გამოავლინეს არა მარტო შეუწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნისადმი, არამედ შეუწყნარებლობა ყრილობაზე სხვაგვარად მოაზროვნე უმრავლესობისადმი. ასეთ სიტუაციაში სხვა აღარა დაგვრჩენია რა, გარდა იმისა, რომ დავეუბნოთ დემოკრატიის პრინციპების ასეთი დაცვის თანამიმდევრულობაში.

ვფიქრობ, თქვა შემდეგ დეპუტატმა, რომ ზოგიერთი ჩვენგანს ხელს უშლის გადამეტებული ამბიციების ბრძნობა — პირადი ამბიციებისა და, როგორც დავრწმუნდით უკვე, პოლიტიკური ამბიციების ბრძნობაც, ამ ამბიციებმა არ უნდა განსაზღვრონ დღეს, ორატორის აზრით, ყრილობის მუშაობის არსი. ჩვენ საკმაოდ სრულად გავეცით პასუხი კითხვებს, თუ რა არის ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიზეზები. მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე დგას საკითხი — რა ვიღონოთ, და როგორ ვიღონოთ? პასუხი ამ კითხვაზე გაისმა მრავალი დეპუტატის გამოსვლაში — უნდა შეგვეძლოს ქარგად მუშაობა. უამისოდ ვერ გადავწყვეტთ ეკონომიკის პრობლემებს, ვერ გადავწყვეტთ სოციალურ პრობლემებს.

ხალხი, რომელმაც გვანდო დეპუტატის მანდატი, თქვა დეპუტატმა **ვ. ი. კირილოვმა,** იმედს ამყარებს ჩვენზე, ფიქრობს, რომ ეს მანდატი ანდო ნამდვილ პოლიტიკოსებს. პოლიტიკა კი, აღნიშნა ორატორმა, გახლავთ შესაძლებლის ხელოვნება. და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ორატორმა მოუწოდა დეპუტატებს ამაოდ არ დაკარგონ დრო უნაყოფო დისკუსიებისათვის და რაც შეიძლება სწრაფად გადავიდნენ ჩვენი საზოგადოების უძრაობის ძირითადი მიზეზის, ყველა ჩვენი უბედურების მიზეზის — ეკონომიკაში უწყვეტრივი მონოპოლიზმის კონსტრუქციულ განხილვაზე. ორატორის აზრით, სწორედ ეს არის ომის მიზეზი, რომ თავისთავად იზრდება ფასები, საზოგადოების გამჩანაგებელი და გამხრწნელი დეფიციტი და როგორც შედეგი, იზრდება დამნაშავეობა, უარესდება საქონლის ხარისხი. უწყვეტრივი მონოპოლიზმი, აღნიშნა მან შემდეგ, გახდა ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციის შეჩერების, ჩვენი ქვეყნის განვითარებული ქვეყნების ნედლეულის დანამატად გადაქცევის, ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზი და, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოში ეროვნებათაშორისი დაძაბულობის ზრდის ძირითადი მიზეზი.

დეპუტატმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სპეციალური კომისია და დაეკალოს მას სამემოდგომო სესიისათვის მომზადოს ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გეგმა, მათ შორის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

დისკუსია ჯერ არ დაგვიწყია, თქვა დნეპროძერჟინსკის დეპუტატმა **ს. ი. კონეევმა** და უკვე ცდილობენ გაგვაჩერონ. უკვე სამოცდაათ წელზე მეტია გაისმის მოწოდებები, მუშაობა საკმარ, მაგრამ უნდა გავერკვეთ, რატომ ვერ მოქმედებენ ეს მოწოდებები. იმიტომ, რომ მეტისმეტად იცავენ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ხერხემალს. მიღებული კანონები სანაბერო ღონისძიებებია. ამ დროს კი ქვეყანა უახლოვდება ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უფსკრულს, იზრდება არასასურველი სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და თუ არ განვაორიელებთ რადიკალურ ღონისძიებებს, ასეთი პროცესების შეჩერება, როგორც ცხადყოფს პოლონეთის მაგალითი, ძალზე გაგვიჭირდება.

ბევრი საყვედური გამოითქვა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ. მაგრამ იქ შეიძინეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება. რეფორმების ნორმალურ განხორციელებას ხელს უშლის ის, რომ რესპუბლიკები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პროცესების განვითარებაში.

ჩვენმა ყრილობამ უნდა დაიზუსტოს ეკონომიკური პრობლემები, გადაჭრა და დაარღვიოს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხის ადგილიდან დაძვრა ჯერჯერობით არ ხერხდება. ჩვენ ბრალად ედებენ, რომ ვესწრაფვით ძალაუფლებას. ჩემი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამას ბრრბიან ისინი, ვინც დიდი ხანია მოიპოვა ძალაუფლება და არ სურს მისი დათმობა.

გარდაქმნის წარმატება, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეეძლებთ მივუბრუნდეთ ადამიანების საჭიროებებს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცავი ფენების საჭიროებებს.

მე აქ გამოვედი, რათა ვთქვა: უმრავლესობა დაინტერესებულია კონსოლიდაციით, განაცხადა მაღალი ტრიბუნიდან დეპუტატმა **ა. ნ. კრაიკომ.** დიახ, თქვა მან შემდეგ, ჩვენ ვსწავლობთ დემოკრატიას, ჩვენ გვსურს, რომ იგი ჩვენი საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა გახდეს, საჭიროა, რომ ამ ყრილობამ ბევრი რამ გვასწავლოს.

ამ პოზიციით განიხილა ორატორმა შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ ყრილობაზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის დეპუტატებს. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ეს შესაძლებლობანი თანაბარია და ერთნაირ ლიმიტირებას მხოლოდ დრო აზღვნს.

საჭიროა, თქვა მან შემდეგ, რომ ყრილობა გახდეს კონსოლიდაციის ყრილობა, მაგრამ პრინციპულ, პლურალისტურ საფუძველზე. სასურველია, რომ უმცირესობის აზრსაც პრეზიდიუმი და დარბაზი უფრო ყურადღებით ეკიდებოდნენ. პრეზიდიუმი, თქვა შემდეგ დეპუტატმა, არ უნდა იყოს ჩვენს ზემოთ, იგი უნდა ისმენდეს, რაც ლაპარაკობენ ამ ტრიბუნიდან, და მაშინ აქ არ წამოიჭრებოდა ბევრი პრობლემა.

ორატორმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყნის და ამ დარბაზიც შეკრებილი მთელი ძალები როდი ემუშავებენ ქმედითად უმაღლეს საბჭოში. მისი აზრით, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აქტიურ მუშაობას ჩამოშორდნენ, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები.

სერიოზული პრობლემა უწოდა დეპუტატმა იმას, რომ, როგორც მან დამოთქვა, უმაღლეს საბჭოში არ მოხვდა ბ. ნ. ელცინი. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, თქვა ორატორმა, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც არის ბ. ნ. ელცინი, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არა სადღაც მიტინგებზე, არამედ აქ, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სტატიას ეძღვნა დეპუტატ **ჩ. ი. ითმათოვს.** გაუზიარა რა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი ყრილობის მუშაობის შესახებ, ორატორმა აღნიშნა სპონტანურობა, მოჭარბებული ემოციები და ექსპრომტები და აღნიშნა, რომ უფრო შემწყნარებელნი უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ და გამოვნახოთ საერთო დიალოგის გზისერული გზები.

როგორც ორატორს ესახება, ნაყოფიერი კამთი შეიძლება გაჩაღდეს მაშინ, როცა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გააკეთებს მოხსენებას, ჯერჯერობით კი მოვლენებს წინ ვუსწრებთ.

ორატორმა გაიზიარა ის შეშფოთება, რომელიც გამოთქვეს თავიანთ გამოსვლებში ი. აფანასიევმა და ზოგიერთმა სხვა ამხანაგმა. ჩვენი საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მტკივნეული საკვანძო მომენტების გამო და მოუწოდა დამსწრეთ, რომ ჯერ გადაჭრან ყრილობაზე ერთი საკითხი, შემდეგ კი შეუფდგნენ მეორეს. გამოუცხადა რა სოლიდარობა აქ გამოთქმულ კრიტიკას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა წამოაყენონ კონსტრუქციული წინადადებანიც.

დეპუტატმა მტკიცედ გაიაზრა ფრაქციულობის წინააღმდეგ, რომელშიც როგორც მან თქვა, არ ჩანს პოზიტიური საწყისი. არ ღირს, ხაზგასმით აღნიშნა მან, ერთად დავახვიოთ მთელი ჩვენი შეშფოთება და პრობლემები და გადავეშვათ დამორიგორების მორეგში. ორატორმა მოუწოდა დეპუტატებს, პრობლემები გონივრულად და თანმიმდევრულად გადაჭრან. ყრილობის ისეთი სულისკვეთებით განგრძობა, როცა იფრქვევა ზედმეტი ემოციები, სარგებლობას არ მოუტანს გარდაქმნას.

დეპუტატ **ვ. ა. პალმს** როგორც ადამიანს, რომელიც მეცნიერულ მუშაობას ეწევა, მიაჩნია, რომ სურვილები, ემოციები, მოთხოვნები ვერაფერს ვერ შეაცვლიან, თუ რეალურად მიმდინარეობს სხვა, უფრო მძლავრი პროცესები. მან განაცხადა, რომ ყრილობის მუშაობაში არ უნდა იხელმძღვანელონ ბოროტი და კეთილი ნების დეპუტატების მოდელით. ეს არ ნიშნავს, რომ არ იქნება აზრთა სხვადასხვაობა. იგი უკვე არის. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ: დეპუტატები აქ გამოხატავენ არა თავიანთ ნებას, არამედ ამომრჩეველთა ინტერესებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენასა და ჯგუფს, სხვადასხვა ერს და ა. შ. საჭიროა საღი აზრის დიდი წელი, რომ გავერკვეთ მათ ინტერესებში და გამოვნახოთ კონსტრუქციული გადაწყვეტები. თუ ჩვენ ყველა, თქვა შემდეგ ორატორმა, მოვილაპარაკებთ რომ აღარ გამოვავლენთ ზედმეტ ემოციებს, მეტად ნეიტრალურ ემოციებს, ეფექტიანი ნაბიჯებიც დემოკრატიას.

კონფრონტაციას, როცა სხვადასხვა ინტერესებთან გვაქვს საქმე, თავიდან ვერ ავიცილებთ, ნუ ვეშინოდეთ ამის იმედი, რომ ყველა ფერი წარმომრთება ფორმულით: „მოდით, ბიჭებო, მეგობრულად ვიცხოვროთ“. მაგრამ კონფრონტაცია უნდა იყოს პოლიტიკურად კულტურული, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული. უნდა მოვახდინოთ მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაცია, რათა გამოვიყენოთ ქვეყანა ის სიტუაციიდან, რომელიც აღმოჩნდა.

დეპუტატმა **ა. ხ. სამსონოვმა** მოსკოვის წარმომადგენლებს მიმართა მიტინგებისა და დემონსტრაციების თაობაზე, რომლებიც დედაქალაქში იმართება. მან წინადადება წამოაყენა, რომ ყოველი მათგანი ყრილობის მუშაობის დროს შეხვდეს თავისი ტერიტორიული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველს. ორატორმა დაგმო ზოგიერთი მოსკოველი დეპუტატის ფრაქციული პოზიცია.

რაც შეეხება გ. ხ. პოპოვის გამოსვლას, დეპუტატმა განაცხადა, რომ იგი მას ყველაფერში არ ეთანხმება. ჩვენ, თქვა მან, ვიწყებთ საქმის დემოკრატიული ლაყბობით შეცვლას. ა. ს. სამსონოვმა პოპოვი მიიწვია მოსკოვის პირველ საათის ქარხანაში, სადაც იგი დირექტორად მუშაობს, რათა მან შეძლოს პრაქტიკულად იმის განხორციელება, რისთვისაც იბრძვის.

დეპუტატმა **ტ. ბ. მოშნიაგამ** გამოთქვა აზრი, რომ დაშვებულია სერიოზული შეცდომები ყრილობის ორგანიზაციის მიმართ მოსიმზადებელ ეტაპზეც და მისი მოწყობის ეტაპზეც. მან ეს ახსნა იმით, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ სწავლობს დემოკრატიას.

მან აღნიშნა, რომ ორი მოსკოველი დეპუტატის — აფანასიევისა და პოპოვის გამოსვლების გარშემო დისკუსია ფაქტობრივად გაჩაღდა იმიტომ, რომ იყო ნაკლოვანებანი კავშირის სახალხო დეპუტატებისა ყრილობის დასახელების და თვით კენჭისყრის მოწყობის საქმეში. დეპუტატმა გამოთქვა შიში, რომ ასეთი ნაკლოვანებანი შეიძლება გაჩნდეს მომავალშიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პალატების მუშაობაში. უკვე ახლავე უნდა გავიაზროთ, როგორ ავიცილოთ ეს თავიდან. უწინარეს ყოვლისა, მიაჩნია ორატორს, ზუსტად უნდა დავადგინოთ, რა საკითხებს გადაწყვეტს ყრილობა და რა საკითხებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. დეპუტატმა მხარი დაუჭირა კომპიუტერული სისტემის დაუყოვნებლივ დამუშავებას, რათა უკვე მომდევნო ეტაპებზე გამარტივდეს ბევრი პროცედურული საკითხის ორგანიზაცია.

დეპუტატი არ დაეთანხმა იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში ვერ მოხვდა მთელ ქვეყანაში ცნობილი ბევრი სწავლული ეკონომისტი, პოლიტოლოგი, იურისტი, ისტორიკოსი.

სიტყვას იღებს დეპუტატი **ვ. ხ. პოპოვი.** გარდაქმნის ინტერესების გარდა, განაცხადა მან, აქ არავის სხვა ინტერესი არ გააჩნია. და თუ მე ვინმეს ვაკრიტიკებ ან ვიმეშეს არ ვეთანხმები, ეს იმიტომ კი არა, რომ ვეჯავობდე, ვინმეს გარდაქმნა არ სურდეს. საქმე ეხება სხვა რამეს — რა სჯობს გარდაქმნისათვის, რომელი ეფექტიანი გზა უნდა ავირჩიოთ.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავის დილის გამოსვლაში საერთოდ არ უხსენებია სიტყვა „ფრაქცია“ და არ ესმის, რატომ სჭირდება ზოგზოგებს, ადამიანების ჯგუფის ცდა, შეიმუშაონ გარკვეული საკითხი, დაუკავშიროს ფრაქციას. ახლა ყველაზე მთავარია, თქვა მან, — მთელი ყურადღება მივაპყროთ აღმშენებლობის წინადადებებს — რა ვაკეთოთ შემდეგ. ორატორი დაეთანხმა ჩ. ი. ითმათოვს, და ხაზგასმით აღნიშნა, სანამ არის ერთად მუშაობის საშიალება, ერთად უნდა ვიმუშაოთ.

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას კამთის შეწყვეტის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი** აყენებს წინადადებას შეუდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნებს. ამ პოსტზე მან რეკომენდაცია გაუწია დეპუტატ ა. ი. ლუკიანოვს და დაახასიათა იგი როგორც კომპეტენტური, სახელმწიფო და საბჭოთა მშენებლობის დარგში მომზადებული ადამიანი, რომლის გამოცდილება სასარგებლო და საჭიროა.

ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ა. დ. სახაროვი, ბ. ხ. ფილშინი, ბ. ვ. სტეროგოტოვი, ა. ვ. ობორინი.**

დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე დეპუტატ **ა. ი. ლუკიანოვის** არჩევის საკითხი გადაიტანონ ყრილობის სხდომისათვის, რომელიც გაიმართება ორშაბათს, 29 მაისს.

ყრილობამ დაავალა პრეზიდიუმს, მოამზადოს წინადადებანი თბილისში 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოძიებისათვის სადეპუტატო კომისიის შემადგენლობის შესახებ.

წამოაყენეს წინადადება აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთაგან შეიქმნას კომისია იმ მასალების შემოწმებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობასთან, ტ. ბ. გდლაანი რომ მეთაურობს. ამ საკითხის განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები **ი. ი. ზასლავსკი, ტ. ბ. გდლაანი, ვ. ა. ია რინი, ა. ი. ბარანოვი, გ. ხ. იანაევი.**

დეპუტატებმა დაავალეს ყრილობის პრეზიდიუმს, მოამზადოს და დასამტკიცებლად შეიტანოს ყრილობაზე წინადადება ამ კომისიის შემადგენლობის შესახებ.

• • •

26 მაისს, საღამოს, დეპუტატებმა აიჩჩიეს ყრილობის სამდივნო და მიიღეს გადაწყვეტილება ყრილობის მისამართით მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ.

• • •

**29 მაისს** მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

გახსნა რა დილის სხდომა, თავმჯდომარემ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** განაცხადა, რომ დეპუტატთა ჯგუფმა პრეზიდიუმს მიმართა წინადადებით, შეწყდეს ყრილობის მუშაობის პირდაპირი ტრანსლაცია ცენტრალური ტელევიზიითა და საკავშირო რადიოთი იმის გამო, რომ ზოგიერთი ორატორი ყრილობის ტრიბუნას თვითრეკლამისათვის იყენებს.

თავმჯდომარემ გამოთქვა აზრი, რომ ყრილობა დარჩეს კარგახსნილი და წინადადება შემოიტანა კვლავაც გაგრძელდეს ყრილობის სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია.

ყრილობამ განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე კანდიდატურების განხილვა.

დეპუტატებმა მიიღეს ეს წინადადება.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ა. ი. ლუკიანოვს.**

ორატორმა უპასუხა კითხვებს, რომლებიც მისცეს მას დეპუტატებმა წინა სხდომაზე, და შემდეგ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე.

**პირველი.** ბოლო უნდა მოეღოს პიროვნების კულტის და უძრაობის დროიდან მომავალ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფორმალურ, დამცირებულ, ხშირად პარადულ მდგომარეობას. იგი უნდა იყოს საქმიანი, მომუშავე, მომთხოვნი ორგანო, რომელიც საშუალებას მოგცემს ერთმანეთს დავუპირისპიროთ სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი, ალტერნატიული პროექტები, ეს ი. ი. ზასლავსკი, ტ. ბ. გდლაანი, ვ. ა. ია რინი, ა. ი. ბარანოვი, გ. ხ. იანაევი.

**ბ. ხ. ფილშინი.** ბოლო ორი ან სამი კვირის განმავლობაში ჩვენ ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიანს ვეკითხებოდით, ბევრ ადამიანს ვეკითხებოდით, ბევრ ადამიანს ვეკითხებოდით

# სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

(დასასრული)

ეს იმით დასაბუთა, რომ ლუკიანოვი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია, გარდაქმნის კონცეფციის ერთგულია და იჩენს მოთმინებასა და უნარს მოისმინოს სხვების აზრი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყრილობა მოუბობს მხოლოდ მ. ს. გორბაჩოვის უნარიანი ხელმძღვანელობის წყალობით, აღნიშნა დეპუტატმა **ა. ე. სუბენკოვმა.** მან მოიყვანა აზრი ამომრჩეველისა, რომლის წინადადებაა მისცენ შესაძლებლობა ფორუმის პრეზიდიუმს უყაროს კენჭი რამდენადმე მოგვიანებით, რათა ჯერ ყველა დეპუტატმა გამოთქვას საკუთარი აზრი. ამასთან დაკავშირებით, ეუხო რა არჩევნების შედეგები, ყრილობის შემდგომ მსვლელობის, დეპუტატმა გამოთქვა აზრი, რომ მის მომზადებასა და ჩატარებაში შეცდომები კი არ არის, არამედ არის სავსებით განსაზღვრული რეინისებური ნება, ნება, რომელსაც არ სჭირდება მომუშავე პარლამენტი.

ორატორი შეეხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურას და განაცხადა, რომ მ. ს. გორბაჩოვი ძლიერი პოლიტიკური ლიდერია და მას უფლება აქვს დასახელოს ამ თანამდებობაზე კაცი, რომელთანაც ერთად ყველაზე მეტად შეძლებს მუშაობას. დეპუტატმა მხარი დაუჭირა ა. ა. ლუკიანოვის კანდიდატურას.

შემდეგ მან წაიკითხა ამომრჩეველთა მიერ მისადმი მიმართვების სტრიქონები, რომლებშიც ისინი მადლობას უძღვნიან მოსკოვის, ლენინგრადისა და ზოგიერთ სხვა დეპუტატთა ჯგუფებს, თანამმდევრულად და ვეკაკურად რომ ადგანან ხალხთა მასების პოლიტიკას.

მაღალ სახელმწიფო პოსტზე ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებით დეპუტატმა **ტ. ხ. გდლიანმა** შემართა მას მთელი რიგი კითხვებით, რომლებიც შეეხებოდა მის მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში; სახელმწიფოში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობას; ორატორის გამოთქმით, მისი საგამოძიებო ჯგუფის დისკრედიტაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; ოქროს მომპოვებელ მრეწველობაში დიდ დატაცებათა გამოძიების შეწყვეტას.

დეპუტატმა **ა. ი. ლუკიანოვმა** უპასუხა წინა ორატორების გამოსვლებში დასმულ მთელ რიგ კითხვებს.

შემდეგ გამოვიდა ლენინგრადელი დეპუტატი **ნ. ვ. ივანოვი.** მან განაცხადა რომ ამ ბოლო დროს ქვეყანაში დაისახა აშკარა გადახრა მარჯვნივ და დემოკრატიული მონაპოვრებისაგან გადახვევა. ამას მოწმობს, თქვა მან, პარტიული აპარატის მოქმედება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, „ელცინის საქმის“ მორიგი გამოჩენა, ამა წლის 8 აპრილის აშკარად არადემოკრატიული ბრძანებულების მიღება, დარბევა თბილისში, გდლიანის საგამოძიებო ჯგუფის, მისი შეხედულებით, უპრეცედენტო პოლიტიკური დევნა მთელი აპარატის, მათ შორის სამართალდაცვითი ორგანოების მიერ.

ამასამად, თქვა ორატორმა, მატულობს მძიმე დანაშაულობანი, კლებულობს მათი საქმეების გახსნა. დეპუტატმა მთელი რიგი კონკრეტული კითხვები მისცა ა. ი. ლუკიანოვს.

თავისი ამომრჩეველების თხოვნით ჩელიაბინსკის საბჭოთა მეურნეობა „კოელენგასის“ დირექტორმა, დეპუტატმა **ი. ნ. შუნდეევმა** დასვა რამდენიმე კითხვა. ერთი მათგანია — რატომ გადაუხვია ყრილობამ არჩევითობის დემოკრატიას, რატომ არა ჰყავს მეტოქე ა. ი. ლუკიანოვს? გარდაქმნის ხომალდზე, თქვა ორატორმა, საიმედო ეკიპაჟი უნდა შეირჩეს. არა მარტო კაპიტანმა, მგზავრებმაც უნდა იცოდნენ, საით და როგორ წავა ჩვენი ხომალდი. მის კურსზე, თქვა მან, დამოკიდებულია ჩვენი მომავალი.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ვ. ნ. კუდრიავცევი.** პრეზიდენტი აგროვებს ეკიპაჟს, ასე ხდება ბევრ ქვეყანაში, თქვა მან. ამ ეკიპაჟის პირველი წევრი და, ჩემი აზრით, შესაფერი, — ა. ი. ლუკიანოვი. იგი არის უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. თუმცა არ ვიცი, როგორ ასწრებს იგი სამეცნიერო საქმიანობას, რადგან მისი სამუშაო დღე 16 საათს გრძელდება, შვებულებაში კი 1985 წლის შემდეგ არ ყოფილა, რითაც არღვევს შრომის კანონმდებლობას.

რაც შეეხება დამნაშავეობის ზრდის პრობლემებს, აქ არ არის არც დრო და არც ადგილი ამაზე სალაპარაკოდ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. დარბაზში მსხდომ ჩემი ასაკის ადამიანთა დაახლოებით ათ პროცენტს თავის დროზე ჰყავდათ რეპრესირებული ნათესავები. მე არ მინდა, რომ XX საუკუნის 80-90-იან წლებში ეს ამბავი განმეორდეს. ჩვენ არ გვჭირდება მაფია, რაკეტები, მძარცველები და ბანდიტები, მაგრამ არ გვჭირდება არც გამომძიებლები, რომლებიც დაკითხვისას არღვევენ კანონმდებლობას, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დააპატიმრონ ნათესავები და ბავშვები და კაცს მოსთხოვონ რაღაც დაიბრალოს.

დეპუტატ **რ. ა. მედვედევს** საჭიროდ არ მიაჩნია, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჩამოაყალიბოს თავისი საკუთარი პროგრამა, რომელიც განხილვებული იქნება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პროგრამასთან. ერთ-ერთმა წინა ორატორმა თქვა, თუ ჩვენ ვირჩევთ კაცს, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში ხომალდს გაუძღვება, სრული ცოდნით უნდა შეეარჩიოთ ისეთი ეკიპაჟიც, რომელიც, როგორც ორატორმა დასძინა, უნდა გაუძღვეს ამ ხომალდს, როცა კაპიტანი ისვენებს, და გაუძღვეს იმავე მიმართულებით, და არა პირიქით.

მაგრამ, როგორც კი მ. ს. გორბაჩოვი მიდის შვებულებაში აპ მიეშგზავრება საზღვარგარეთ, მოცლილი სახელმწიფო პოლიტიკა იდეოლოგიის დარგშიც და ბევრ სხვა სფეროში, ორატორის თქმით, იცვლება. და ზოგჯერ იცვლება კარდინალურად. მან მოიყვანა მრავალი მაგალითი, რომლებიც მოწმობს, მისი აზრით, ასეთ მერყეობას უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკაში იმისდა მიხედვით, ფაქტობრივად ვინ ახორციელებს მას ლიდერის არყოფნის დროს. გასხაკუთრებით აწუხებს ეს ინტელიგენციას, მაგრამ ნიკოლაევ.

ასე რომ, დასაკვნა მან, საჭიროა ისეთი მოადგილე, რომელიც განაგრძობს ჩვენი ხომალდის წაყვანას დასახული კურსით. ერთი სიტყვით, ყრილობამ უნდა აირჩიოს ადამიანები, რომლებიც საკმებით ენდობიან ერთმანეთს. ისტორიკოსის პროფესიულმა ინტერესმა საშუალება მისცა დეპუტატს აღმოეჩინა იმის დადასტურება, რომ მ. ს. გორბაჩოვი და ა. ი. ლუკიანოვი დიდი ხნის ნაცნობები ყოფილან. მაგალითად, გაზეთ „მოსკოვსკი უნივერსიტეტის“ 50-იანი წლების ერთ-ერთ ნომერში მან იპოვა ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიული ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტში, სასწავლო-აღმზრდელობითს სექტორში, თავმჯდომარედ არჩეულია სტუდენტი ლუკიანოვი, ხოლო მის მოადგილედ — სტუდენტი გორბაჩოვი.

ცომბრელთა სახელით ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურას მხარი დაუჭირა დეპუტატმა **რ. ხ. ხოლენცევმა.** რა თქმა უნდა, თქვა მან, მიხეილ სერგის ძეს უიქვეულად აქვს „უფლება წარმოგვიდგინოს თავისი მოადგილის პოსტზე კაცი, რომელსაც შეუძლია ანდოს სახელმწიფო ხომალდი თავისი არყოფნის დროს, კაცი, რომელთანაც მას უფრო კარგად და საიმედოდ შეუძლია მუშაობა. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ პირველად ვართ ასეთ ყრილობაზე, განაცხადა მან, გულახდილი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. ამას მოითხოვენ ჩვენი ამომრჩეველები. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა წაიკითხა კრასნოიარსკელ ამომრჩეველთა წერილი, რომელშიც ისინი მკაცრ შეფასებას აძლევენ ამა თუ იმ დეპუტატის გამოსვლებს, მოუწოდებენ მათ არ მოახდინონ ზეგავლენა ალტერნატიულ კანდიდატებზე, ოპონენტებზე.

უზბეკეთის დელეგაციის უმრავლესობა მხარს უჭერს ამანაგი ლუკიანოვის კანდიდატურას, თქვა დეპუტატმა **ა. იაკუბოვმა.** მან თავის გამოსვლაში აღძრა საკითხები, რომელებიც უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების რაც შეიძლება მალე მიღებას. ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა გულდასმით და მხოლოდ კანონს საფუძველზე ყოს გარკვეული ეგრეთ წოდებული „უზბეკეთის საქმის“ ყველა ასპექტი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის მიერ გამოქვეყნებული ცნობა ყოველად გაუგებარია, ყველაფერი რადაც უცნაური ბუნდოვანებით არის მოცული. კარგი იქნებოდა, განაცხადა ორატორმა, რომ ამის გამო გამოეთქვა აზრი ამ კომისიის რიგელიმე წევრს.

შემდეგ მან თავისი დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამ ერთულესი საქმის პატიოსნად გადაწყვეტას, და წინადადება წამოაყენა, კომისიაში, რომელსაც ყრილობა ქმნის მის გარემოებათა შესასწავლად, შეიყვანონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები უზბეკეთისაგან.

ბობრუისკელმა დეპუტატმა **ს. ო. კალაშნიკოვმა,** რომელიც გამოვიდა საკავშირო ლენინური კომკავშირისაგან დეპუტატთა ჯგუფისა და ტერიტორიებისაგან მთელი რიგი ახალგაზრდა დეპუტატების დავალებით, თქვა: ეჭვი არ გვეპარება რა ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურის არჩევის სიმსწორეში, გამოვთქვამთ ეჭვს ყრილობის მომზადების მიმდინარეობის თაობაზე. ახალგაზრდა დეპუტატებმა თავიანთ საკონსულტაციო შეხვედრაზე შეიმუშავეს მთელი რიგი წინადადებანი და გადასცეს ისინი ამხანაგ ლუკიანოვს, მაგრამ ეს შენიშვნები და წინადადებები გთვალისწინებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მზად ვართ კვლავ წერილობით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია მთელ რიგ საკითხებზე, კერძოდ, ახალგაზრდობის საქმეთა მომავალი კომიტეტის შესახებ. მაგრამ დარწმუნებული არა ვართ, რომ მათ არ დაასამარებენ, ისევე როგორც ყრილობაზე წამოყენებულ ზოგიერთ წინადადებას, რასაც მოჰყვა ის, რომ ყრილობაზე, ორატორის აზრით, ჩამოყალიბდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ფორმირების საეჭვო მექანიზმი. იმისათვის, რომ ხმა მიეცეთ ა. ი. ლუკიანოვს, უნდა ვიცოდეთ მისი დამოკიდებულება ახალგაზრდობის სერიოზული პრობლემებისადმი — და ის, თუ რამდენად არის იგი მზად ანგარიში გაუწიოს ახალგაზრდობას ამ პრობლემების გადაჭრაში. მზად ვართ განვიხილოთ მასთან ეს საკითხი სამუშაო წესით.

დეპუტატი **ა. ი. ლუკიანოვი** თავის გამოსვლაში იძლევა პასუხს დეპუტატთა ახალ კითხვებზე.

მე იმათ მხარეზე ვარ, თქვა დეპუტატმა **ვ. კ. სტარუროვიტოვმა,** ვინც ეთანხმება თვალსაზრისს, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე უნდა იყოს ის კანდიდატურა, რომელსაც გვთავაზობს მ. ს. გორბაჩოვი. ასეთია ბელორუსიისაგან დეპუტატთა უმრავლესობის აზრიც.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ე. ჯ. ბიჩკაუსკას.** მან ა. ი. ლუკიანოვს მიმართა კითხვით, რომელზეც პასუხს, მისი აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ბალტიისპირეთისათვის, მნიშვნელოვნად წარმოუდგება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის დროს. სანამ ხმას მისცემდნენ, დეპუტატებს ლიტვისაგან სურთ შეიტყონ ა. ი. ლუკიანოვის პოზიცია „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის“ და სსრ კავშირისა და ფაშისტურ გერმანიის შორის დამატებითი საიდუმლო შეთანხმებების თაობაზე.

დეპუტატ **ო. ვ. გამყრელიძის** გამოსვლა დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

აზერბაიჯანის წარმომადგენელთა სახელით დეპუტატმა **ბ. ი. ისაევმა** მოუწოდა დამსწრეთ მხარი დაუჭირონ მ. ს. გორბაჩოვის ამ ბოლო დროს ჩატარებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. ლუკიანოვი.

ორატორმა დაახასიათა იგი როგორც ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მრავალი წელია მუშობს სსრ კავშირის სახელმწიფო სისტემის სრულყოფისათვის.

შემდეგ ორატორმა დამსწრეთ გააცნო დეპუტატისა და რესპუბლიკის ამომრჩეველებთან ტელეფონით საუბრების შინაარსი. კერძოდ, თქვა მან, საყოველთაო გაოცება და აღშფოთება გამოიწვია დეპუტატების სტავროპოლოვასა და იგიტიანის გამონათქვამებმა, რომლებიც მიეძღვნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის პრობლემებს. ახლა, როცა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უდიდეს ღონისძიებებს მიმართავენ ცხოვრების ნორმალური რიტმის აღსადგენად, ასეთი გამოსვლები ბადებს აზრს, რომ სურთ ჩაგვითრიონ უნაყოფო დისკუსიებში და ჩვენი ყურადღება ჩამოაშორონ ყრილობის დღის წესრიგის საკითხების განხილვას.

მხარი დაუჭირა რა ტაჯიკეთის სახალხო წარმომადგენელთა სახელით ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე, დეპუტატი **ხ. ხ. ნეგმატულოევი** შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომელთა აღძვრა ყრილობაზე სთხოვეს მას აბორიგენებმა.

პირველი, რაც მათ აწუხებთ, სასმელი წყალია. მთელი რაიონები რესპუბლიკაში, როგორც დეპუტატმა აღნიშნა, ნორმალურად არ არის უზრუნველყოფილი წყლით. და ეს ხდება რეგიონში, სადაც იწყება მსოფლიოში უდიდესი მყინვარები და მდინარეები! მეორე პრობლემაა არასრული დაცულობა სეისმური თვალსაზრისით. რესპუბლიკის შრომელები ცხოვრობენ სეისმური თვალსაზრისით აქტიურ რაიონებში, მაგრამ ყველგან არ არის განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებანი იმისათვის, რომ საიმედოდ დავიცვათ ადამიანები შესაძლო სტიქიისაგან. ამომრჩეველმა სთხოვეს დეპუტატს მიმართოს ყრილობას თხოვნით იფიქრონ კანონზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დადგეწყვიტა სეისმურად აქტიურ ზონებში ადამიანთა სრული უსაფრთხოების პრობლემები.

ა. ი. ლუკიანოვის კანდიდატურას პირველი მოადგილის პოსტზე თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა დეპუტატმა **გ. ა. ამანგელდინოვამ.** ამასამად, მისი აზრით, არ არის სხვა ალტერნატივა, და ამიტომ ყველა ხალხს რჩეულმა მხარი უნდა დაუჭიროს მ. ს. გორბაჩოვს, რომელმაც დასახელა იგი ამ პოსტზე.

თურქმენეთის სს რესპუბლიკისაგან სახალხო დეპუტატთა დავალებით დეპუტატმა **რ. ა. ბაზაროვამ** მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიონ ა. ი. ლუკიანოვი. ორატორმა დაახასიათა იგი როგორც დიდი სპეციალისტი და მეცნიერი, კაცი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისათვის, ხელი შეუწყო რესპუბლიკაში მრავალი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტას.

ჩვენ არ გვტოვებს აზრი, თქვა დეპუტატმა **ნ. ბ. კირიაკმა,** რომ ამ დარბაზში მხოლოდ იმიტომ ვართ, რომ დაიწყო გარდაქმნა, რომლის მამამთავარია პარტია. ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი მამამთავარია მ. ს. გორბაჩოვი. მაგრამ იგი მარტო არ არის. მას ჰყავდა და ჰყავს თანამოაზრენი და ერთგული თანაშემწეები, რომლებიც გამოცდილნი არიან გარდაქმნის საქმეებში. ერთ-ერთი მათგანია ა. ი. ლუკიანოვი.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუ დეპუტატებმა პრაქტიკულად ერთსულოვნად მიიღეს მ. ს. გორბაჩოვს ქვეყნის, მთელი გარდაქმნის ბედი და მზად არიან დაეხმარონ მას, ბოლომდე თანამიმდევრული უნდა იყვნენ და მიანდონ თვითონ განსაზღვროს თანაშემწეები უმაღლეს საბჭოში. მან ა. ი. ლუკიანოვი დაახასიათა როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი საბჭოთა მწერლობის დარგში, პოლიტიკური სისტემის რეფორმის, თანამედროვე პირობებში მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი ავტორი და შემსრულებელი.

კანდიდატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე სახალხო ხელისუფლების ლენინური იდეის დიდი პროპაგანდისტი და რეალიზატორია. მისი სახით, თქვა ორატორმა, ჩვენ გვეყოლება ხელმძღვანელი, რომელმაც შეიმუშავა თეორიული და პრაქტიკული პრობლემების მთელი კომპლექსი.

დასასრულ დეპუტატმა **ა. ი. ლუკიანოვმა** უპასუხა შემოსულ კითხვებს.

დიდი კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ყრილობამ აირჩია ა. ი. ლუკიანოვი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

# იქმნება წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა კავშირი

**რესპუბლიკის** სადირექტივო და სხვა ორგანოებში წარმოებისა და მომსახურების სფეროს ცალკეული კოოპერატორების, მათი ტერიტორიული თუ დარგობრივი გაერთიანებების (ასოციაციების) მრავალრიცხოვანი მომართვების გამო იმის შესახებ, რომ საჭიროა სხვადასხვა ორგანოსთან მათი ურთიერთობის სრულყოფა და მხარდაჭერა კანონით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას, საჭიროდ არის მიჩნეული კოოპერატორთა კავშირის ორგანიზაციული გაფორმება.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას რესპუბლიკაში კოოპერაციული საქმიანობის სრულყოფის და კოოპერატორთა პირველი რესპუბლიკური ყრილობის მომზადებისა და ჩატარების შესახებ წინადადებათა შემმუშავებელი საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შეიადნენ ცალკეული კოოპერატივების და ასოციაციების, აგრეთვე ზოგიერთი უწყებისა და ორგანოს, მაგალითად, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმომარაგების, ფინანსთა სამინისტროს, ბინსოცბანკის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და სხვათა წარმომადგენლები.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირი და გაიმართოს მათი პირველი რესპუბლიკური ყრილობა.

ნავარაუდევია, რომ კავშირი იცავს ამ კოოპერატორთა საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას, გასწევს კოოპერაციული მოძრაობის პროპაგანდას, უზრუნველყოფს სახელმწიფოს და კოოპერატივების ინტერესებისა და უფლებების დაცვას, წარმოადგენს მათ სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მონაწილეობას მიიღებს კოოპერაციის საკითხებზე ნორმატიულ-საამართლებრივი დოკუმენტების სრულყოფის შესახებ წინადადებათა შემუშავებაში, განახორციელებს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, შექმნის კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, იმოქმედებს მათს საქმიანობაში ნეგატიური მომენტების წინააღმდეგ, ხელს შეუწყობს კოოპერატივების მიმართ საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებას, რომელთა მუშაობაში, კერძოდ, შეიმჩნევა დარღვევები და უარყოფითი მოვლენები.

საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური საბჭო (ასოციაციები) ირჩევენ დელეგატებს ორ-ორ წევრს ერთ და ერთ ოლქიდან — ბინაზე.

ყრილობა გაიმართება მომდინარე წლის 9 ივნისს თბილისის ბოდრაკის სასახლეში, რეგისტრაცია დაიწყება დილის 9 საათზე.

საორგანიზაციო კომიტეტი კოოპერატივებს მიმართავს თხოვნით გამოგზავნონ თავიანთი წინადადებანი კოოპერატივების მუშაობის, ყრილობის მუშაობის შესახებ და კოოპერაციული მოძრაობის სხვა საკითხებზე ყრილობაზე განსახილველად. (საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, მთავრობის სახლი, ოთახი № 437, საორგანიზაციო კომიტეტი).

(საკინფორმი).

**პროექტი**

# საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის

# წესდება

### 1. კავშირის ზოგადი დებულებები, მიზნები და ამოცანები

1. 1. საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირი (შემდგომში — კავშირი) წარმოადგენს აღნიშნული პროფილის კოოპერატორთა და მათი ტერიტორიული (რაიონული, საქალაქო, საოლქო) და დარგობრივი გაერთიანებების (ასოციაციების) ნებაყოფლობითს გაერთიანებას.

1. 2. კავშირის მიზანია აქტიურად შეუწყოს ხელი რესპუბლიკაში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას.

1. 3. კავშირის ამოცანებია:

— დაიცვას კავშირის წევრი კოოპერატივების ინტერესები სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით;

— ორგანიზაციულად შეუწყოს ხელი და დაეხმაროს კავშირის წევრ შესაქმნელ და მოქმედ კოოპერატივებს;

— ხელი შეუწყოს კავშირის წევრი კოოპერატივების სპეციალურ-საწარმოო და საფინანსო-კომერციული საქმიანობის განვითარებას;

— განავითაროს კავშირის წევრი კოოპერატივებისა და თვით კავშირის ურთიერთობა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან;

— კოორდინაცია გაუწიოს კავშირის წევრი ცალკეული კოოპერატივებისა და მათი გაერთიანებების (ასოციაციების) განვითარებას.

1. 4. კავშირი ახორციელებს თავის საქმიანობას სსრ კავშირის კონსტიტუციის, „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის, მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და სადირექტივო ორგანოების დადგენილებების და ამ წესდების შესაბამისად.

### 2. კავშირის ორგანიზაციული მშენებლობის პრინციპები

2. 1. კავშირი იურიდიული პირია, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკების რესპუბლიკურ განყოფილებებში, გერბიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

2. 2. კავშირი თავის საქმიანობას აგებს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

— კავშირში შესვლისა და კავშირიდან გამოსვლის სრული ნებაყოფლობა და თავისუფლება;

— კავშირის ყველა წევრის სრული თანასწორუფლებიანობა;

— გადაწყვეტილების მიღება პირდაპირი ღია კენჭისყრით.

— მიღებული (დამტკიცებული) გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარება.

— თავისი არჩევითი ორგანოს (საბჭოსა და გამგეობის) უფლებამოსილებით აღჭურვა;

— ღონისძიებების მიღება და მოქმედების განხორციელება ამ წესდებით განსაზღვრულ თავიანთ უფლებათა ფარგლებში და თავისი მოქმედებისათვის სრული პასუხისმგებლობა;

კავშირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა (პასუხს არ აგებს) თავისი წევრების ან სახელმწიფო და სხვა ორგანოების ვალდებულებებისათვის;

სახელმწიფო პასუხს არ აგებს კავშირის ვალდებულებათა მიხედვით;

კავშირის წევრს არ ეკისრება პასუხისმგებლობა (პასუხს არ აგებს) კავშირის ვალდებულებათა მიხედვით.

### 3. კავშირის უფლებები და მოვალეობანი

3. 1. კავშირს უფლება აქვს:

— წარმოადგენდეს ანვის ინტერესებსა და კავშირის წევრთა ინტერესებს ყველა სხვა ორგანიზაციაში;

— ახორციელებდეს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებს, რათა დახმარება გაუწიოს საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც კოოპერატივის შექმნასა და კავშირში შესვლას ამირებენ, და კავშირის წევრ კოოპერატივებს;

— იღებდეს შემზღუდველ ღონისძიებებს კავშირის წევრი კოოპერატივების მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს წესდება, „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონი და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

— აყენებდეს წინადადებებს და შენიშვნებს სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და ამ საკანონმდებლო აქტების პროექტების გამო, რომლებიც ეხება კოოპერაციულ მოძრაობას და კოოპერატივების საქმიანობას;

— დებდეს ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან;

— ქმნიდეს სამეურნეოანგარიშიან და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა ძირითადად მიმართული იქნება კოოპერაციული მოძრაობის და ცალკეული კოოპერატივების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის;

— ახორციელებდეს კავშირის წევრი კოოპერატივების განაცხადების (შეკვეთების) მიხედვით საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საქმიანობას დადგენილი წესით საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენებისა და სხვა საცნობარო მასალის, კოოპერატორთა გაზეთის, მათი შრომების გამოსაცემად და სხვ.

— ახორციელებდეს კოოპერატივებისათვის საეკონომიკო მომზადებასა და დადამზადებას;

— ირჩევდეს თავის ხელმძღვანელ ორგანოებს (მმართველობის ორგანოებს) და, საჭირო შემთხვევებში, წარმომადგენლობებს.

3. 2. კავშირი ვალდებულია:

— წარმოადგენდეს და იცავდეს კავშირის წევრი კოოპერატივების ინტერესებსა და უფლებებს;

— უწევდეს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და იურიდიულ დახმარებას როგორც საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც ქმნიან კოოპერატივებს და შედიან კავშირში, ასევე კავშირის წევრ კოოპერატივებსაც;

— ქმნიდეს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს აქტიურობას და კეთილსინდისიერებას კავშირისათვის საერთო ამოცანების და ღონისძიებების, უწყობარეს ყოველისა, კავშირის წევრი კოოპერატივების სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო-სამეურნეო განვითარების ღონისძიებების შესრულებაში.

### 4. კავშირის წევრობა

4. 1. კავშირის წევრი შეიძლება იყოს რესპუბლიკის ნებისმიერი კოოპერატივი, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას წარმოებისა და მომსახურების სფეროში, და რომელმაც გამოთქვა კავშირში შესვლის სურვილი და შეიტანა შესასვლელი და საწევრო შესატანი, აგრეთვე მათი ტერიტორიული ან დარგობრივი გაერთიანებანი (ასოციაციები).

შენიშვნა: აღნიშნულ გაერთიანებაში (ასოციაციაში) შემავალი კოოპერატივები კავშირის წევრები არიან.

4. 2. კავშირში მიღება ხდება კოოპერატივის (გაერთიანების) თავმჯდომარის განცხადებისა და კოოპერატივის (გაერთიანების) გადაწყვეტილების საერთო კრების ოქმის საფუძველზე შესასვლელი შესატანის გადახდის შემდეგ;

